ხელშეკრულება N011210/10/067
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
DAISY *e*. XPERT საკონტროლო სალარო აპარატის
ფისკალური მეხსიერების ბარათის შეძენისა და შეცვლის შესახებ

ქ.თბილისი 14/მაისი/ 2018 წ.

ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმომოდგენილი იურისტის **გიორგი წაქაძის** სახით და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი"** ს/კ 404902414 (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი **დირექტორის ზურაბ გურიელიძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველი მიმწოდებლისაგან ყიდულობს 1 (ერთი) ცალ GPRS საკონტროლო სალარო აპარატის (მოდელი: daizy e.Expert, DY00097308) ფისკალური მეხსიერების ბარათს თანმდევ მომსახურებასთან ერთად (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი") წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2 შესყიდვის ობიექტის CPV კოდი - **30234500** - მეხსიერების მატარებლები.

2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1. ერთი ცალი ფისკალური მეხსიერების ბარათის ღირებულება შეადგენს 90 (ოთხმოცდაათი) ლარს, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **90 (ოთხმოცდაათი) ლარს**.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიწოდებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. საქონლის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში.

4. საქონლის მიღება - ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში 5.1 პუნქტით განსაზღვრულ მისამართზე.

4.2 თუ შესყიდვის ობიექტი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, მაშინ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია ვერა ჯიქია **პ/№01019010246.**

4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5. საქონლის მიწოდების ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა- ფშაველას გამზირი #45.

6. შემსყიდველის ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ინფორმაცია საქონლის შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

7. მიმწოდებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.1.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან საქონლის ღირებულების დროული გადახდა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.2.1. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;

7.2.2. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2 ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. მხარეთა ხელმოწერები:

მიმწოდებელი:	**შემსყიდველი:**
შ.პ.ს. „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“ ს/კ: 406049823 იურიდიული მისამართი: შავთელის ქ. 13, (ნაკვ. 33/1) ტელ: 032 2 500-111 სს "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCGE22, ა/№ GE70TB7114436080100001 ელ. ფოსტა info@gsn.com --- წარმომადგენელი: გიორგი წაქაძე	ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“ ს/კ 404902414 მის. ქ. თბილისი, კოსტავას 64 --- დირექტორი: ზურაბ გურიელიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 14 მაისი 2018 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ხელშეკრულების №011210/10/067-ის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ხელშეკრულების ინსპექტირების წევრები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“-ს
დირექტორი ზურაბ გურიელიძე

ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“-ს
ბუღალტერი ვერა ჯიქია